



2025 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის იანვარ-თებერვლის
შესრულების

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
მარტი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 4,251.2 მლნ ლარი

64.2%

3 თვის
გეგმის

15.4%

წლიური
გეგმის

გადასახდელები - 4,276.2 მლნ ლარი

63.1%

3 თვის
გეგმის

15.3%



წლიური
გეგმის

ნაშთის ცვლილება
-25.0 მლნ ლარი


საოპერაციო სალდო
207.7 მლნ ლარი

მთლიანი სალდო
-282.1 მლნ ლარი


შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები



გადასახადების სტრუქტურა





ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 27,560.8 მლნ ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვარ-თებერვალში მიღებული შემოსულობები 4,251.2 მლნ ლარს (წლიური გეგმის 15.4%) შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 482.1 მლნ ლარით (12.8%-ით) აღემატება.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახდელებს წლიური გეგმა განსაზღვრულია 27,941.7 მლნ ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვარ-თებერვალში ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები 4,276.2 მლნ ლარს (წლიური გეგმის 15.3%) შეადგენს, რაც 347.9 მლნ ლარით (8.9%-ით) მეტია წინა წლის 2 თვის მაჩვენებელთან შედარებით.




სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 3 თვის გეგმა^[1] განსაზღვრულია 6,619.0 მლნ ლარით, ხოლო 2 თვეში მიღებული შემოსულობები გეგმის 64.2%-ს შეადგენს. შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, 3 თვის გეგმის მიმართ, შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს შემოსავლებს (65.1%), ვალდებულებების ზრდისა (51.5%) და არაფინანსური აქტივების კლების მუხლით (24.9%) შემოსულობები დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება, ხოლო ფინანსური აქტივების კლების კომპონენტი 72.9%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა.


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 3 თვის გეგმა განსაზღვრულია 6,780.8 მლნ ლარის ოდენობით, 2 თვის ფაქტობრივი მაჩვენებელი კი გეგმის 63.1%-ს შეადგენს. რაც შეეხება 3 თვის გეგმის შესრულებას გადასახდელების კომპონენტების მიხედვით, ხარჯებისა და ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება (შესაბამისად, 62.3% და 64.3%), არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტს დაბალი მაჩვენებელი (56.8%) აქვს, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები გადაჭარბებით გამოირჩევა და 236.1%-ს აღწევს.

[1] „საქართველოს 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის №434 ბრძანება.

შემოსულობების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)




გადასახდელების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)



2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, 2 თვეში, 207.7 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - -282.1 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2021-2025 წლების 2 თვის საოპერაციო სალდოსა და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, 2025 წლის დასაწყისისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ 1,386.2 მლნ ლარი შეადგინა. იანვარ-თებერვალში მიღებული შემოსულობების და განეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის გამოყენება 25.0 მლნ ლარს გაუტოლდა და 2025 წლის 1 მარტისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,361.3 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.


საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2021-2025 წლების 2 თვეში (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თებერვლის მარჯვენებები

2024 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 1,933.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 384.9 მლნ ლარით ნაკლებია იანვრის მარჯვენებზე (ძირითადად, შემოსავლებისა და ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობების შემცირების გავლენით), ხოლო წინა წლის თებერვლის მარჯვენებელთან შედარებით, 22.7 მლნ ლარით გაზრდილია. რაც შეეხება 2025 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტიდან განეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა 1,996.7 მლნ ლარს შეადგენს, რაც იანვრის მარჯვენებზე 282.8 მლნ ლარით ნაკლებია, ხოლო 2024 წლის თებერვლის მარჯვენებელს 119.5 მლნ ლარით აღემატება.


სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები, 2023-2025 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



რაც შეეხება თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობებისა და განეული გადასახდელების კომპონენტებს:


შემოსავლების სახით 1,713.0 მლნ ლარია მიღებული (შემოსულობების 88.6%), ვალდებულებების აღების შედეგად შემოსული სახსრები 195.1 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტების მარჯვენებები, შესაბამისად, 8.7 მლნ ლარს და 16.3 მლნ ლარს უტოლდება.

შემოსულობები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




თებერვალში განეული ხარჯების მოცულობა 1,663.0 მლნ ლარს შეადგენს, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები 196.1 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების კომპონენტების მარჯვენებები - შესაბამისად, 27.1 მლნ ლარს და 110.4 მლნ ლარს.

გადასახდელები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




საგადასახადო შემოსავლები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადების მიმოხილვა, რაზეც თებერვალში მიღებული მთლიანი შემოსულობების 85.1% და შემოსავლების 96.0% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა, თებერვალში, გადასახადებიდან 1,644.7 მლნ ლარი მიიღო, იანვრის მაჩვენებელზე 176.5 მლნ ლარით ნაკლები, ძირითადად, საშემოსავლო და მოგების გადასახადების მნიშვნელოვანი კლების (შესაბამისად, 263.4 მლნ ლარით და 150.1 მლნ ლარით), აგრეთვე, დღგ-ის მცირედი, 3.6%-იანი შემცირების გავლენით. დანარჩენი გადასახადები მომატებულია: სხვა გადასახადები^[2] - 219.1 მლნ ლარით, აქციზი - 38.7 მლნ ლარით (მ.შ. ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან - 21.7 მლნ ლარით, იმპორტირებული პროდუქციიდან - 17.0 მლნ ლარით) და იმპორტის გადასახადი - 2.3 მლნ ლარით.

ხარჯები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, იგი თებერვალში გაწეული მთლიანი გადასახდელების 83.3%-ს შეადგენს. კერძოდ, ხარჯებმა თებერვალში 1,663.0 მლნ ლარი შეადგინა, წინა თვის მაჩვენებელზე 101.2 მლნ ლარით ნაკლები, რაც დაკავშირებულია პროცენტის მუხლით ხარჯების მნიშვნელოვან (182.5 მლნ ლარით) შემცირებასთან. ყველა დანარჩენი სახის ხარჯი გაზრდილია, კერძოდ: გრანტები - 21.6 მლნ ლარით, სხვა ხარჯები - 22.3 მლნ ლარით, სუბსიდიები - 16.4 მლნ ლარით, საქონლისა და მომსახურების ხარჯები - 11.1 მლნ ლარით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 3.2 მლნ ლარით, ხოლო შრომის ანაზღაურება - 6.7 მლნ ლარით.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2025 წლის თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ 50.0 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - -137.4 მლნ ლარი.


გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ თებერვალში მიღებული შემოსულობებისა (1,933.2 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (1,996.7 მლნ ლარი) გათვალისწინებით, ნაშთის გამოყენებამ 63.5 მლნ ლარი შეადგინა.

[2] 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში, საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა გადასახადების ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2025 წლის იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 4,251.2 მლნ ლარს შეადგენს. შემოსულობების ფორმირება, ძირითადად, შემოსავლებისა და აგრეთვე, ვალდებულებების ზრდის კომპონენტების ხარჯზე განხორციელდა, რომელთა წილობრივი მაჩვენებლებიც შემოსულობების, შესაბამისად, 85.5%-ს და 10.7%-ს უტოლდება. შემოსავლები, ნომინალურ გამოხატულებაში, 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაზრდილია, თუმცა მისი წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობებში შემცირებულია, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები კი, გაზრდილია, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ისე წილობრივად შემოსულობებში. რაც შეეხება არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტებს, 2025 წლის იანვარ-თებერვალში, აღნიშნული შემოსულობების ჯამური წილი შემოსულობებში შედარებით მცირეა და 3.8%-ს შეადგენს (2024 წელს 4.0%-ია, ხოლო 2023 წელს - 2.7%).

სახელმწიფო ბიუჯეტის 2 თვის შემოსულობების კომპონენტები (მლნ ლარი)




შემოსავლებს სახით, 2 თვეში, მიღებულია 3,635.0 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 65.1% და წლიური გეგმის 15.5%, რაც წინა წლის მაჩვენებელს 179.3 მლნ ლარით (5.2%-ით) აჭარბებს. რაც შეეხება 3 თვის გეგმის შესრულებას შემოსავლების კომპონენტების მიხედვით, გადასახადები და სხვა შემოსავლები კარგი მაჩვენებლებით გამოირჩევა, ხოლო გრანტები შესრულების დაბალი დონით ხასიათდება.

იანვარ-თებერვალში მიღებული გადასახადები 3,465.9 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 65.3%-ს და წლიური გეგმის 15.8%-ს შეადგენს. გადასახადების სახეების მიხედვით, 3 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 46.1%-დან 68.1%-მდე მერყეობს (მ.შ. აქციზი - ყველაზე დაბალი და საშემოსავლო გადასახადი - ყველაზე მაღალი შესრულების მაჩვენებლით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, 3 თვის გეგმა 130.0 მლნ ლარით არის განსაზღვრული, 2 თვეში კი 265.2 მლნ ლარია მიღებული. 2024 წლის იანვარ-თებერვალთან შედარებით, გადასახადები 291.9 მლნ ლარით (9.2%-ით) გაზრდილია, რაც ძირითადად, საშემოსავლო გადასახადისა და სხვა გადასახადების (შესაბამისად, 165.0 მლნ ლარით და 109.5 მლნ ლარით), აგრეთვე, მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადების (შესაბამისად, 43.4 მლნ ლარით, 50.4 მლნ ლარით) მატებას უკავშირდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 123.4 მლნ ლარით (12.9%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-თებერვალში, დღგ-ის სახით, სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 1,265.7 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 50.4 მლნ ლარით (4.1%-ით) მეტი, მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და განუული მომსახურებიდან დღგ გაზრდილია 27.0 მლნ ლარით, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან - 23.5 მლნ ლარით. წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 22.5%-ით (74.9 მლნ ლარით) შემცირებულია აქციზი: ადგილობრივი პროდუქციის დაბეგვრიდან - 18.7 მლნ ლარით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან - 56.2 მლნ ლარით (ძირითადად, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან მიღებული სააქციზო შემოსავლის 62.2 მლნ ლარით, 41.8%-ით შემცირების გავლენით).

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2024-2025 წლების 2 თვეში (მლნ ლარი)



გრანტების მოცულობამ 15.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 3 თვის გეგმის 31.5% და წლიური გეგმის 7.8%-ია. მ.შ. საინვესტიციო გრანტები 4.2 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით მიღებული შემოსავალი - 0.1 მლნ ლარს. გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტში აისახა საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 11.1 მლნ ლარის ოდენობით.

სხვა შემოსავლებს სახით, 2 თვეში, ბიუჯეტში მობილიზებულია 153.6 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 68.6% და წლიური გეგმის 11.4%, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 53.5 მლნ ლარით (25.8%-ით) ნაკლებია და ძირითადად, დივიდენდების კლებას უკავშირდება (კერძოდ, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან დივიდენდის სახით, წინა წლის იანვარ-თებერვალში, ბიუჯეტში 50.1 მლნ ლარი ჩაირიცხა, 2025 წლის ბიუჯეტში კი აღნიშნული შემოსავლის მიღება გათვალისწინებული არ არის). სხვა შემოსავლის ძირითადი ნაწილი (41.1%) შემოსულია საკუთრებიდან (63.1 მლნ ლარის ოდენობით) და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (30.3%, 46.6 მლნ ლარის ოდენობით).

არაფინანსური აქტივების კლებას მუხლით შემოსულობები (17.4 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 24.9%-ს და წლიური გეგმის 5.8%-ს შეადგენს. აღნიშნული შემოსულობების უდიდესი ნაწილი, 99.7%, არაწარმოებული აქტივების რეალიზაციიდან, კერძოდ, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან არის მიღებული (ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან შემოსულია 43.9 ათასი ლარი). არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად, 17.0 მლნ ლარით, აღემატება.

ფინანსური აქტივების კლებას მუხლით (გაცემული სესხების დაბრუნებიდან) შემოსულობები, 3 თვის გეგმასთან შედარებით, 72.9%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა და 143.5 მლნ ლარს შეადგენს (წლიური გეგმის 35.9%), თუმცა წინა წლის მაჩვენებელს 8.2 მლნ ლარით (5.4%-ით) ჩამორჩება.

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები, 2 თვეში, 455.3 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 51.5%-ს (წლიური გეგმის 13.3%-ს) შეადგენს. მ.შ. თანხების ძირითადი ნაწილი შემოსულია საშინაო წყაროდან, კერძოდ: სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების რეალიზაციისა და დაფარვის შედეგად მიღებული წმინდა შემოსულობა 370.8 მლნ ლარს (3 თვის გეგმის 58.0%) შეადგენს.


საგარეო წყაროდან თანხები მთლიანად საინვესტიციო კრედიტების სახით არის მიღებული და 84.5 მლნ ლარს შეადგენს (ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები, რომლის სახით 3 თვის გეგმით 69.0 მლნ ლარია გათვალისწინებული, 2 თვეში არ არის შემოსული).

	2 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების ზრდა	455.3	51.5%	13.3%
საშინაო	370.8	58.0%	23.2%
საგარეო	84.5	34.4%	4.6%
საბიუჯეტო კრედიტები	0.0	0.0%	0.0%
საინვესტიციო კრედიტები	84.5	47.8%	6.9%

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2025 წლის იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა 4,276.2 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 80.1%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში, 2023-2024 წლებთან შედარებით, გაზრდილია, ხოლო წილობრივად გადასახდელებში, 2024 წელთან შედარებით, მცირედით მომატებულია, 2023 წელთან შედარებით კი - შემცირებული. კერძოდ: 2023 წლის იანვარ-თებერვალში, ხარჯების წილი გადასახდელებში 81.7%-ს შეადგენდა, ხოლო 2024 წლის იანვარ-თებერვალში - 78.3%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს (არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას), 2025 წლის იანვარ-თებერვალში, მთლიან გადასახდელებში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის წილობრივმა მაჩვენებელმა 11.9% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელმა - 2.9% და ვალდებულებების კლების მაჩვენებელმა - 5.1%. 2024 წლის იანვარ-თებერვალში, მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო, შესაბამისად, 16.4%-ის, 0.5%-ის და 4.7%-ის ოდენობებით, ხოლო, 2023 წლის იანვარ-თებერვალში - 12.1%-ის, 0.5%-ის და 5.6%-ის ოდენობებით.


სახელმწიფო ბიუჯეტის 2 თვის გადასახდელების კომპონენტები (მლნ ლარი)



მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში, ხარჯებმა 3,427.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 3 თვის გეგმის 62.3% და წლიური გეგმის 15.7%-ია. 3 თვის გეგმასთან მიმართებით, პროცენტის მუხლი შესრულების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა (88.5%), სოციალური უზრუნველყოფა (65.8%), სხვა ხარჯები (62.4%) და შრომის ანაზღაურება (59.7%) - კარგი შესრულების დონით, ხოლო სუბსიდიების მუხლი (42.9%), საქონელი და მომსახურება (48.5%) და გრანტები (50.6%) შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება. ხარჯების მოცულობა, 2024 წლის 2 თვის მაჩვენებელთან შედარებით, 350.4 მლნ ლარით (11.4%-ით) გაზრდილია, რაც დაკავშირებულია ხარჯების თითქმის ყველა კომპონენტის (გარდა სუბსიდიებისა და საქონლისა და მომსახურების) მატებასთან, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაწეული ხარჯების მნიშვნელოვანი (134.8 მლნ ლარით) ზრდის გავლენით.


პროცენტის მუხლით გაწეული ხარჯების მთლიანი მოცულობიდან (476.7 მლნ ლარი), საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 335.1 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 141.6 მლნ ლარი. რაც შეეხება სოციალურ უზრუნველყოფას (1,403.8 მლნ ლარი), აღნიშნული ხარჯების დიდი წილი გაიწია მოსახლეობის სოციალური დაცვისა (1,031.2 მლნ ლარი) და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის (288.1 მლნ ლარი), აგრეთვე, დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების (60.0 მლნ ლარი) პროგრამების ფარგლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2024-2025 წლების 2 თვეში (მლნ ლარი)



არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (507.2 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 56.8%-ს და წლიური გეგმის 11.9%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (173.0 მლნ ლარი) და თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (108.7 მლნ ლარი) მიიმართა. მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა, აგრეთვე, თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (39.5 მლნ ლარი), ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე (31.0 მლნ ლარი), საზოგადოებრივ წესრიგსა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავებაზე (29.1 მლნ ლარი), იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობაზე (23.7 მლნ ლარი) და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (23.6 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (124.1 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 236.1%-ს და წლიური გეგმის 29.3%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები გადანაწილებულია თავდაცვის სამინისტროზე (87.1 მლნ ლარის ოდენობით), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე (10.2 მლნ ლარის ოდენობით), რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე (2.5 მლნ ლარის ოდენობით) და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე (24.2 მლნ ლარის ოდენობით).



ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები (217.6 მლნ ლარი) შესრულების კარგი დონით ხასიათდება და 3 თვის გეგმის 64.3%-ს და წლიური გეგმის 15.4%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი ნაწილი, 217.5 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	2 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების კლება	217.6	64.3%	15.4%
საშინაო	0.1	0.4%	0.1%
საგარეო	217.5	66.8%	15.8%


აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 2 თვეში გაწეული გადასახდელები მოიცავს დამატებით 3 პროგრამულ კოდს, რომელთა ფარგლებშიც მოხდა სახსრების ათვისება:

- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 60 00) - 0.3 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი“ (პროგრამული კოდი - 59 00) - 25.3 ათასი ლარის ოდენობით;
- „საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 28) - 7.8 ათასი ლარის ოდენობით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, იანვარ-თებერვალში, საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 694.2 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 79.4% და წლიური გეგმის 22.0%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა 143.1 მლნ ლარი შეადგინა (საიდანაც 64.0 მლნ ლარი კაპიტალურ ტრანსფერს წარმოადგენს და 79.0 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს). დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 60.0 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან ათვისებულ იქნა თანხები, შესაბამისად, 81.6 მლნ ლარის და 0.3 მლნ ლარის ოდენობით.


იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გაწეულმა გადასახდელებმა 3,934.5 მლნ ლარი შეადგინა (3 თვის გეგმის 61.6% და წლიური გეგმის 15.1%). ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მარკენებლები ფუნქციონალურ ქრილში:

2025 წლის 2 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მარკენებლები ფუნქციონალურ ქრილში (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები სამინისტროების მიხედვით

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 2 თვის გადასახდელებიდან (4,276.2 მლნ ლარი), მხარტავ დაწესებულებებზე 3,353.7 მლნ ლარი მიიმართა, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე - 922.5 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 21.6%). თავის მხრივ, მხარტავი დაწესებულებების მიერ ათვისებული თანხებიდან, 3,177.8 მლნ ლარი (რაც მთლიანი გადასახდელების 74.3%-ს შეადგენს), სამინისტროების მიერ ათვისებულ სახსრებზე მოდის, ხოლო 175.9 მლნ ლარი - სხვა დანარჩენ მხარტავ დაწესებულებებზე (მთლიანი გადასახდელების 4.1%).



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2025 წლის იანვარ-თებერვალში სამინისტროების მიერ ათვისებული თანხები:

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სამინისტროებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება 2 თვეში (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა	2025 წლის 2 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	121.0	45.8	25.7	56.0%	21.2%
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	947.0	234.5	61.7	26.3%	6.5%
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3,125.0	405.2	317.3	78.3%	10.2%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	442.0	104.7	43.1	41.2%	9.8%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	8,820.0	2,208.8	1,443.8	65.4%	16.4%
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	215.0	61.3	36.5	59.5%	17.0%
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,730.0	598.7	420.4	70.2%	24.3%
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1,395.0	347.4	220.5	63.5%	15.8%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	808.1	203.4	77.6	38.1%	9.6%
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	3,085.0	746.7	457.8	61.3%	14.8%
საქართველოს კულტურის სამინისტრო	297.6	80.3	26.1	32.5%	8.8%
საქართველოს სპორტის სამინისტრო	298.4	89.7	47.2	52.6%	15.8%

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 25.7 მლნ ლარი აითვისა, რაც წლიური გეგმის (121.0 მლნ ლარი) 21.2%-ს და 3 თვის გეგმის (45.8 მლნ ლარი) 56.0%-ს შეადგენს.

ფინანსთა სამინისტროს, 2025 წლის იანვარ-თებერვლის გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი აღემატება გასული, 2022-2024 წლების, ანალოგიურ მაჩვენებლებს. კერძოდ, 2022 წლის 2 თვის გადასახდელებმა 23.4 მლნ ლარი, 2023 წლის 2 თვის გადასახდელებმა 11.6 მლნ ლარი, ხოლო 2024 წლის 2 თვის გადასახდელებმა 15.0 მლნ ლარი შეადგინა.


მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების მაჩვენებელი 61.7 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (947.0 მლნ ლარი) 6.5% და 3 თვის გეგმის (234.5 მლნ ლარი) 26.3%-ია.

სამინისტროს აღნიშნული გადასახდელები (61.7 მლნ ლარი) 2022 და 2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებზე ნაკლებია, ხოლო 2023 წლის მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია.


2025 წლის იანვარ-თებერვალში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 317.3 მლნ ლარია ათვისებული, რაც სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური მოცულობის (3,125.0 მლნ ლარი) 10.2%-ს და 3 თვის გეგმის (405.2 მლნ ლარი) 78.3%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, საანგარიშო პერიოდის გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი (317.3 მლნ ლარი) მნიშვნელოვნად აღემატება 2022 წლის მონაცემს, ხოლო 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს მცირედით ჩამორჩება.


ფინანსთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



ეკონომიკის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)




ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 43.1 მლნ ლარს შეადგენს, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (442.0 მლნ ლარი) 9.8%-ს და 3 თვის გეგმის (104.7 მლნ ლარი) 41.2%-ს უტოლდება.

იუსტიციის სამინისტროს, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის გადასახდელები (43.1 მლნ ლარი), 2023-2024 წლების ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, შემცირებულია, ხოლო 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით - გაზრდილი.


იუსტიციის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



2025 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების მესამედი (33.8%), 1,443.8 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე მოდის, რაც სამინისტროსთვის დამტკიცებული წლიური გეგმის (8,820.0 მლნ ლარი) 16.4%-ს და 3 თვის გეგმის 65.4%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (1,443.8 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, შესამჩნევად მომატებულია.


ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, 2025 წლის იანვარ-თებერვალში ათვისებული ასიგნებები 36.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (215.0 მლნ ლარი) 17.0%-ს და 3 თვის გეგმის (61.3 მლნ ლარი) 59.5%-ს უტოლდება.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები (36.5 მლნ ლარი), 2022-2024 წლების საანგარიშო პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია.


საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის 2 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 420.4 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (1,730.0 მლნ ლარი) 24.3%-ს და 3 თვის გეგმის (598.7 მლნ ლარი) 70.2%-ს შეადგენს.

თავდაცვის სამინისტროს, 2025 წლის იანვარ-თებერვლის გადასახდელები (420.4 მლნ ლარი) მკვეთრად აღემატება 2022-2023 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს, ხოლო 2024 წლის მონაცემთან შედარებით მცირედით შემცირებულია.


თავდაცვის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2025 წლის იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 220.5 მლნ ლარი აითვისა, რაც სამინისტროს ასიგნებების წლიური გეგმის (1,395.0 მლნ ლარი) 15.8%-ს და 3 თვის გეგმის (347.4 მლნ ლარი) 63.5%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, მიმდინარე წლის 2 თვის გადასახდელების ფაქტობრივი მოცულობა (220.5 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიური მაჩვენებლებთან შედარებით, შესამჩნევად მომატებულია.


შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 77.6 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (808.1 მლნ ლარი) 9.6%-ს და 3 თვის გეგმის (203.4 მლნ ლარი) 38.1%-ს უტოლდება.

მოცემული სამინისტროს, 2025 წლის 2 თვის გადასახდელები (77.6 მლნ ლარი), 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, შემცირებულია, ხოლო 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით - გაზრდილი.


გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების 2 თვის მაჩვენებელი 457.8 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (3,085.0 მლნ ლარი) 14.8%-ს და 3 თვის გეგმის (746.7 მლნ ლარი) 61.3%-ს შეადგენს.

2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს გადასახდელები (457.8 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება.

განათლების სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)




საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ, 2025 წლის იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 26.1 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (297.6 მლნ ლარი) 8.8%-ს და 3 თვის გეგმის (80.3 მლნ ლარი) 32.5%-ს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს სპორტის სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული სამინისტროს მიერ ათვისებული სახსრები 47.2 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (298.4 მლნ ლარი) 15.8% და 3 თვის გეგმის (89.7 მლნ ლარი) 52.6%-ია.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან მოხდა კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაყოფა და ჩამოყალიბდა 2 სამინისტრო - კულტურის სამინისტრო და სპორტის სამინისტრო. აღნიშნული სამინისტროების მიერ, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების ჯამური სიდიდე (73.3 მლნ ლარი) 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება.

კულტურის სამინისტროსა და სპორტის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



*2025 წლის წლიური მაჩვენებელი (ლურჯი სვეტი) გულისხმობს 2025 წლის წლიურ დამტკიცებულ გეგმას.

დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 2 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა*	2025 წლის 2 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 2 თვის ფაქტთან
შემოსულობები	3,769.1	27,560.8	6,619.0	4,251.2	64.2%	15.4%	12.8%
შემოსავლები	3,455.7	23,434.9	5,581.2	3,635.0	65.1%	15.5%	5.2%
გადასახადები	3,174.0	21,885.0	5,308.0	3,465.9	65.3%	15.8%	9.2%
საშემოსავლო გადასახადი	1,094.9	7,369.0	1,849.0	1,259.9	68.1%	17.1%	15.1%
მოგების გადასახადი	354.1	3,070.0	850.0	397.5	46.8%	12.9%	12.3%
დღგ	1,215.3	8,136.0	1,884.0	1,265.7	67.2%	15.6%	4.1%
აქციზი	333.0	2,650.0	560.0	258.1	46.1%	9.7%	-22.5%
იმპორტის გადასახადი	21.0	150.0	35.0	19.5	55.8%	13.0%	-7.1%
სხვა გადასახადები	155.7	510.0	130.0	265.2	204.0%	52.0%	70.3%
გრანტები	74.6	199.9	49.2	15.5	31.5%	7.8%	-79.2%
სხვა შემოსავლები	207.1	1,350.0	224.0	153.6	68.6%	11.4%	-25.8%
არაფინანსური აქტივების კლება	0.4	300.0	70.0	17.4	24.9%	5.8%	4197.2%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	151.7	400.0	83.0	143.5	172.9%	35.9%	-5.4%
ვალდებულებების ზრდა	161.3	3,425.9	884.8	455.3	51.5%	13.3%	182.2%
საშინაო	21.4	1,600.0	639.2	370.8	58.0%	23.2%	1634.8%
საგარეო	140.0	1,825.9	245.6	84.5	34.4%	4.6%	-39.6%
გადასახდელები	3,928.3	27,941.7	6,780.8	4,276.2	63.1%	15.3%	8.9%
ხარჯები	3,076.9	21,842.0	5,497.2	3,427.3	62.3%	15.7%	11.4%
შრომის ანაზღაურება	380.3	3,035.0	757.4	452.1	59.7%	14.9%	18.9%
საქონელი და მომსახურება	338.3	2,485.3	649.9	315.5	48.5%	12.7%	-6.8%
პროცენტი	359.7	1,745.0	538.7	476.7	88.5%	27.3%	32.5%
სუბსიდიები	158.8	1,021.6	298.7	128.0	42.9%	12.5%	-19.4%
გრანტები	158.9	1,856.5	402.0	203.4	50.6%	11.0%	28.0%
სოციალური უზრუნველყოფა	1,268.9	8,446.3	2,133.0	1,403.8	65.8%	16.6%	10.6%
სხვა ხარჯები	411.9	3,252.3	717.5	447.9	62.4%	13.8%	8.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	646.0	4,258.9	892.7	507.2	56.8%	11.9%	-21.5%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	21.6	424.1	52.5	124.1	236.1%	29.3%	474.7%
ვალდებულებების კლება	183.8	1,416.7	338.4	217.6	64.3%	15.4%	18.4%
საშინაო	2.7	42.9	12.9	0.1	0.4%	0.1%	-98.0%
საგარეო	181.1	1,373.8	325.5	217.5	66.8%	15.8%	20.1%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	-159.2	-381.0	-161.8	-25.0			

* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №434)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 2 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა	2025 წლის 2 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 2 თვის ფაქტთან
შემოსავლები	3,455.7	23,434.9	5,581.2	3,635.0	65.1%	15.5%	5.2%
გადასახადები	3,174.0	21,885.0	5,308.0	3,465.9	65.3%	15.8%	9.2%
გრანტები	74.6	199.9	49.2	15.5	31.5%	7.8%	-79.2%
სხვა შემოსავლები	207.1	1,350.0	224.0	153.6	68.6%	11.4%	-25.8%
ხარჯები	3,076.9	21,842.0	5,497.2	3,427.3	62.3%	15.7%	11.4%
შრომის ანაზღაურება	380.3	3,035.0	757.4	452.1	59.7%	14.9%	18.9%
საქონელი და მომსახურება	338.3	2,485.3	649.9	315.5	48.5%	12.7%	-6.8%
პროცენტი	359.7	1,745.0	538.7	476.7	88.5%	27.3%	32.5%
სუბსიდიები	158.8	1,021.6	298.7	128.0	42.9%	12.5%	-19.4%
გრანტები	158.9	1,856.5	402.0	203.4	50.6%	11.0%	28.0%
სოციალური უზრუნველყოფა	1,268.9	8,446.3	2,133.0	1,403.8	65.8%	16.6%	10.6%
სხვა ხარჯები	411.9	3,252.3	717.5	447.9	62.4%	13.8%	8.7%
საოპერაციო სალდო	378.8	1,592.9	84.1	207.7	247.1%	13.0%	-45.2%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	645.6	3,958.9	822.7	489.8	59.5%	12.4%	-24.1%
ზრდა	646.0	4,258.9	892.7	507.2	56.8%	11.9%	-21.5%
კლება	0.4	300.0	70.0	17.4	24.9%	5.8%	4197.2%
მთლიანი სალდო	-266.8	-2,366.0	-738.6	-282.1	38.2%	11.9%	5.7%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-289.3	-356.9	-192.2	-44.4	23.1%	12.4%	-84.7%
ზრდა	21.6	424.1	52.5	124.1	236.1%	29.3%	474.7%
გალუბა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0			
სესხები	21.6	421.7	50.1	36.9	73.7%	8.8%	71.1%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	2.5	2.5	87.1	3556.8%	3556.8%	
კლება	310.8	781.0	244.8	168.5	68.8%	21.6%	-45.8%
გალუბა და დეპოზიტები	159.2	381.0	161.8	25.0	15.4%	6.6%	-84.3%
სესხები	151.7	400.0	83.0	143.5	172.9%	35.9%	-5.4%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0			
გალდებულებების ცვლილება	-22.5	2,009.1	546.4	237.7	43.5%	11.8%	-1158.1%
ზრდა	161.3	3,425.9	884.8	455.3	51.5%	13.3%	182.2%
საშინაო	21.4	1,600.0	639.2	370.8	58.0%	23.2%	1634.8%
საგარეო	140.0	1,825.9	245.6	84.5	34.4%	4.6%	-39.6%
კლება	183.8	1,416.7	338.4	217.6	64.3%	15.4%	18.4%
საშინაო	2.7	42.9	12.9	0.1	0.4%	0.1%	-98.0%
საგარეო	181.1	1,373.8	325.5	217.5	66.8%	15.8%	20.1%
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0			

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა	2025 წლის 2 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
00 00	სულ ჯამი	27,941.7	6,780.8	4,276.2	63.1%	15.3%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	109.3	27.3	12.6	46.1%	11.5%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	91.5	22.8	10.4	45.5%	11.3%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საბედამხედველო საქმიანობა	38.4	9.5	3.8	39.9%	9.9%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და პარლამენტის წევრების საქმიანობა	11.0	2.7	1.4	51.5%	12.9%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	42.2	10.6	5.2	48.9%	12.3%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	42.1	10.6	5.2	49.0%	12.3%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.0	0.0	0.0%	0.0%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	15.6	3.9	1.9	49.0%	12.3%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.7	0.2	0.1	47.7%	14.4%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.4	0.4	0.2	52.1%	14.7%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	10.0	3.4	0.6	18.4%	6.2%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	1.0	0.2	0.1	53.1%	13.3%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	29.0	8.7	3.8	44.2%	13.2%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	25.3	8.7	3.2	37.4%	12.8%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	129.1	14.2	6.4	45.1%	5.0%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	33.3	8.5	4.1	48.3%	12.4%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	2.3	0.7	0.2	33.7%	10.2%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	3.4	2.0	58.6%	15.6%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	80.8	1.6	0.1	3.9%	0.1%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	6.8	1.7	0.8	45.9%	11.6%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	20.8	5.0	2.6	50.6%	12.3%
09 00	საერთო სასამართლოები	164.5	35.8	18.7	52.2%	11.4%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	160.0	34.6	18.4	53.3%	11.5%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	4.5	1.2	0.3	21.7%	5.9%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	12.6	3.5	0.9	26.5%	7.4%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.5	0.4	0.2	50.3%	12.9%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.1	44.7%	12.0%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, სანჯურის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.5	0.4	0.2	46.2%	13.4%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.3	0.3	0.2	55.9%	14.6%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.2	52.3%	13.4%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.2	59.9%	15.6%

კოდი	დასახელება	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა	2025 წლის 2 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.2	59.1%	15.1%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.6	0.5	0.2	38.9%	12.9%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.1	48.4%	12.6%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	226.0	59.4	29.2	49.1%	12.9%
